პრეზიდენტი
თომას ს. მონსონი

„ის აღსდგა“
წინასწარმეტყველის დამოწმება

„ქრისტიანებისათვის მკაფიო მოწოდებით“ პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა გამოაცხადა, რომ იესო ნაზარეელი მკვდრეთიდან აღსდგა. „აღდგომა ყველას აძლევს იმ მშვიდობას, რომელიც აღემატება ჩვენს გაგებას“ (იხილეთ ფილიპიელთა 4:7).[1]

ქვევით მოყვანილ ციტატებში, პრეზიდენტი მონსონი გვიზიარებს მის დამოწმებას და მადლიერებას იესო ქრისტეს აღდგომისადმი და აცხადებს, ვინაიდან ღვთის ძემ დაამარცხა სიკვდილი, მამაზეციერის ყველა შვილები, რომლებიც მოევლინენ დედამიწას, სიკვდილის შემდეგ კვლავ იცოცხლებენ.

სიცოცხლე მოკვდავების მიღმა

„მე მწამს, რომ არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია, ბოლომდე ჩასწვდეს იმის მნიშვნელობას, რაც იესო ქრისტემ გააკეთა ჩვენთვის გეცემანიის ბაღში, მაგრამ, მე ჩემი ცხოვრების ყოველი დღე მადლიერი ვარ მის მიერ, ჩვენთვის მისი გამომსყიდველი მსხვერპლშეწირვისათვის.

„ბოლო წუთს, მას შეეძლო უკან დაეხია. მაგრამ, მან ეს არ გააკეთა. მან გადაიტანა ყველაფერი, იმისათვის, რომ ყველა გამოეხსნა. ამით, მან გვიბოძა სიცოცხლე, რომელიც გაგრძელდება სიკვდილის შემდეგ. მან გვიხსნა ადამის დაცემისაგან.

„მთელი ჩემი სულით მე ვარ მადლიერი მისადმი. მან გვასწავლა თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. მან გვასწავლა თუ როგორ უნდა მოვკვდეთ. მან აიღო თავის თავზე ჩვენი ხსნა.“[2]

სიკვდილის ბნელეთის გაფანტვა

„ზოგიერთ შემთხვევებში, როდესაც ადამიანი ავადმყოფობით იტანჯება, სიკვდილი ევლინება, როგორც მისი მოწყალე ანგელოზი. მაგრამ უმეტესწილად, მას აღვიქვავთ, როგორც ადამიანის ბედნიერების მტერს.

„სიკვდილის ბნელეთი, შეიძლება გაიფანტოს, ნაბოძები ჭეშმარიტების შუქით. უფალმა სთქვა, ‘მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე.’ ‘ვინც მე მიწამებს, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ყველა, ვინც ცოცხალია და ჩემი მორწმუნეა, არ მოკვდება უკუნისამდე.’

„ეს დაპირება და ჭეშმარიტი წმინდა აღთქმა, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეზე, ჩვენ გვაძლევს მხსნელის მიერ დაპირებულ მშვიდობას, რომელიც მან აღუთქვა მოწაფეებს: ‘მშვიდობას გიტოვებთ თქვენ, ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ. სოფელი, რომ იძლევა, ისე კი არ

გაძლევთ. ნუ შეკრთება თქვენი გული, და ნურც შეშინდება.'"[3]

ის აქ არ არის.

„ჩვენი მხსნელი კვლავ ცოხცხალი იყო." ყველაზე ბრწყინვალე, მანუგეშებელი და დამაიმედებელი, რაც ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში იყო სიკვდილზე გამარჯვება. გეთსიმანიის და გოლგოთას ტკივილი და აგონია დამთავრდა. კაცობრიობის ხსნა განხორციელდა. ადამის დაცემა გადალახული იქნა.

„ცარიელი აკლდამა, აღდგომის დილას, იყო პასუხი იობის შეკითხვაზე, 'როცა მოკვდება კაცი, განა გაცოცხლდება?' მათ ვისაც ესმით ჩემი ხმა, ვუცხადებ რომ, როცა მოკვდება კაცი, იგი გაცოცხლდება. ჩვენ ვიცით, რადგან გვაქვს სინათლე გამოცხადებული ჭეშმარიტებისა. . . .

„ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ჩვენი ღრმა მწუხარების ჟამს, შეგვიძლია მივიღოთ ჭეშმარიტი მშვიდობა, აღსდგომის დილას ნათქვამი ანგელოზის სიტყვებიდან, 'აქ არ არის, ვინაიდან აღდგა.'"[4]

ყველა ადამიანი აღსდგება

„ჩვენ ვიცინით, ვტირით, ვშრომობთ, ვთამაშობთ, გვიყვარს, ვცოცხლობთ." და შემდეგ ვკვდებით. . . .

„და მკვდრები ვიქნებოდით, რომ არა ერთი ადამიანი, დიახ იესო ნაზარეველი და მისი მისია. . . .

„მთელი ჩემი გულით და სულით, მე ვიმაღლებ ხმას გიზიარებთ ჩემს განსაკუთრებულ დამოწმებას და ვაცხადებ, რომ ღმერთი არის ცოცხალი. იესო არის მისი მხოლოდშობილი ძე, სისხლით და ხორცით. ის არის ჩვენი მხსნელი, მამაზეციერთან ჩვენი შუამავალი. ის იყო, რომელიც გარდაიცვალა ჯვარზე ჩვენი ცოდვებისათვის. ის გახდა აღდგომის ნათავარი. რადგან ის მოკვდა, ჩვენ კვლავ ვიცოცხლებთ."[5]

პირადი დამოწმება

„მე ვაცხადებ ჩემს პირად დამოწმებას, რომ სიკვდილი იქნა დამარცხებული და გამარჯვება საფლავზე მოპოვებულია. დაე მის მიერ ნათქვამი სიტყვები, რომელიც აღასრულა, ყველამ გაიაზროს და გაითავისოს. გახსოვდეთ ისინი. სათუთად მოუარეთ. დააფასეთ. ის აღსდგა."[6]

მენიმვნები

1. „He Is Risen," *Liahona,* აპრილი 2003, 7.
2. „At Parting," *Liahona,* მაისი 2011, 114.
3. „Now Is the Time," *Liahona,* იანვარი 2002, 68; იხილეთ ასევე იოანე 11:25–26; 14:27.
4. „იგი აღსდგა," *Liahona,* მაისი 2010, 89, 90; იხილეთ ასევე იობი 14:14; მათე 28:6.
5. „I Know That My Redeemer Lives!" *Liahona,* მაისი 2007, 24, 25.
6. *Liahona,* აპრილი 2003, 7.

ამ მოწოდების სწავლება

როდესაც გაუზიარებთ პრეზიდენტ მონსონის მოწოდებიდან ციტატებს, აღნიშნეთ ის დამოწმება, რომელიც გამოხატავს აღდგომის ჭეშმარიტებას. ოჯახის წევრებს თქვენ შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები: „რას ნიშნავს თქვენთვის, როდესაც ცოცხალი წინასწარმეტყველი მოწმობს ამ ჭეშმარიტებების შესახებ დღეს? როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი თქვენს ცხოვრებაში?" შეგიძლიათ დაუმატოთ თქვენი დამოწმება.

ახალგაზრდები

მე კვლავ ვნახავ მას

მორგან ვებექი

ამამ გვაგრძნობინა ყველა ბავშებს, რომ ვიყავით განსაკუთრებულები. მას ვუყვარდით და ადვილად გვპატიობდა. მან გააკეთა ყველაფერი, იმისათვის, რომ ყველანი ვყოფილიყავით ბედნიერი და გასაგებად გვითხრა, რომ ჩვენთვის სურდა ყველაფერი საუკეთესო. მე ძალიან მიყვარდა ის.

როდესაც, მექვსე კლასში ვიყავი, მამაჩემი დაიღუპა ავტოავარიაში. მთელი ოჯახი და მე ვიყავით გაუბედურებულები. ეს იყო დიდი დანაკარგი ჩვენს ოჯახში. ის იყო ის, ვისი იმედი მქონდა და ვისთანაც მივდიოდი რჩევისათის პრობლემების დროს. დახმარების ძებნის მაგივრად, მე გულში დავიტოვე წყრომა და ტკივილი. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ეს იყო ღმერთის ბრალი. მე შევწყვიტე წმინდა წერილების კითხვა და აღარ ვლოცულობდი. ეკლესიაში დავდიოდი მარტო დედაჩემის სურვილის გამო. ვცდილობდი ვყოფილიყავი მამაზეციერისაგან შორს.

შემდეგ, პირველად ცხოვრებაში წავედი ახალგაზრდა ქალების ბანაკში. მომეწონა ახალი მეგობრების

გაცნობა, მაგრამ წმინდა წერილებს მაინც არ ვკითხულობდი. ბანაკის ბოლო ღამეს, ჩვენ გვქონდა დამოწმებების გაზიარების შეკრება. მე ვიგრძენი ის, რაც დიდი ხანი არ მიგრძვნია: სული. მე ვაფასებდი იმ გოგოების ქცევას, რომლებიც ადგნენ და გაუზიარეს სხვებს თავიანთი დამოწმება, მაგრამ არ ავდექი, რადგან ვფიქრობდი, რომ არ მქონდა არაფერი მათთვის გასაზიარებლად. უცბად ვიგრძენი, რომ უნდა ავმდგარიყავი. მე პირი გავაღე იმის ფიქრით თუ რას ვიტყოდი. ვუთხარი, რომ ვიყავი მოხარული ახალგაზრდა ქალთა ბანაკით. შემდეგ უნებლიედ ვთქვი, რომ მე ვიცი იესო ქრისტე მოკვდა ჩემთვის და რომ მამაზეციერს ვუყვარვარ და ეკლესია არის ჭეშმარიტი.

ამის შემდეგ მე აღვივსე ენითაღუწერელი სიმშვიდით. ამ გამოცდილების შემდეგ, მე შემიძლია ვთქვა, რომ მხსნელის გამოსყიდვის და აღდგომის შედეგად, მე კვლავ ვიხილავ მამაჩემს.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, April 2012.* Georgian. 10364 131

გიყვარდეთ, იზრუნეთ და განამტკიცეთ

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად.

როგორც მხსნელი, შინამასწავლებლები ასწავლიან სათითაოდ (იხილეთ 3 ნეფი 11:15). ჩვენ ვიცით, მაშინ ვართ წარმატებულები ჩვენი სწავლების დროს, როდესაც ჩვენს დებს შეუძლიათ სთქვან (1) ჩემი შინამასწავლებელი მეხმარება სულიერ ზრდაში, (2) მე ვიცი, რომ ჩემი შინამასწავლებელი ჭეშმარიტად ზრუნავს ჩემზე და ჩემს ოჯახზე და (3) თუ მე მაქვს რაიმე პრობლემა, ვიცი რომ ჩემი შინამასწავლებელი ჩემი თხოვნის გარეშე მიიღებს სათანადო ზომებს.[1]

ჩვენ, როგორც შინამასწავლებლებს, როგორ შეგვიძლია გვიყვარდეს, ვიზრუნოთ და განვამტკიცოთ ჩვენი და? ქვევით მოყვანილია ცხრა რჩევა, რომელიც შეგვიძლია წავიკითხოთ წიგნის მე-7 თავში *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* იმისათვის, რომ შინამასწავლებელი ემსახუროს თავის დებს:

- ილოცეთ ყოველდღიურად მისთვის და მისი ოჯახისათვის.
- ეცადეთ მიიღოთ შთაგონება მისთვის და მისი ოჯახისათვის.
- ეწვიეთ დას რეგულარულად, რათა გაიგოთ თუ როგორ არის ასევე, რომ დაამშვიდოთ და განამტკიცოთ.
- ხშირად ეკონტაქტეთ მას, სტუმრობით, ტელეფონით, წერილებით, იმეილებით, ტექსტური შეტყობინებით და თავაზიანობის უბრალო გამოვლინებებით.
- მიესალმეთ დას საეკლესიო შეკრებებზე.
- დაეხმარეთ დას, როდესაც ის გაჭირვებაშია, ავად არის ან სასწრაფოდ სჭირდება რაიმე დახმარება.
- ასწავლეთ მას სახარება წმინდა წერილებიდან და შინამასწავლებლის მოწოდებიდან.
- შთააგონეთ მას კარგი მაგალითით.
- შეატყობინეთ მოწყალების საზოგადოების ხელმძღვანელს, დის სამსახურის, ასევე მისი სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის შესახებ.

ჩვენი ისტორიიდან

„შინამასწავლებლის პროგრამა, უკანასკნელი დღეების წმინდანი ქალებისათვის, მთელს მსოფლიოში, არის სიყვარულის, ზრუნვის და სამსახურის საშუალება იმ სულის ძახილის მიხედვით, რომელიც ღმერთმა დათესა ჩვენს გულებში, ისე როგორც გვასწავლიდა იოსებ სმითი.“[2]

ახლად დაქვრივებულმა დამ, მის შინამასწავლებლებზე სთქვა: „ისინი მისმენდნენ. მათ მანუგეშეს. მათ იტირეს ჩემთან ერთად. და ჩამეხუტნენ . . . ისინი დამეხმარნენ, რომ დამეძლია ღრმა სასოწარკვეთილება და დეპრესია, მარტოობის პირველ თვეებში.“[3]

მატერიალური დახმარება არის ასევე სწავლების ერთერთი ფორმა. 1856 წლის ოქტომბერში გენერალურ კონფერენციაზე, პრეზიდენტმა ბრიგემ იანგმა გამოაცხადა, რომ ხელის ურმებით მომავალი პიონერები ჩარჩენილები იყვნენ ღრმა თოვლში 435–595 კილომეტრის მოშორებით. მან მოუწოდა უკანასკნელი დღეების წმინდანებს სოლთ ლეიქ სიტში, რომ წასულიყვნენ მათ საშველად და ასევე „გაამახვილეთ ძალისხმევები მხოლოდ მათ მატერიალურ საჭიროებებზე.“[4]

ლუსი მესერვი სმითის ჩანაწერების მიხედვით, ქალებმა იქვე შესწირეს თავიანთი თბილი სამოსელი, ტაბერნაკლის დარბაზში დატვირთეს

ურმებზე და გაუგზავნეს თოვლში ჩარჩენილ გაყინულ პიონერებს. მათ ასევე შეაგროვეს თეთრეული და ტანსაცმელები, მათთვის, ვინც მოვიდოდა მცირე ბარგით. როდესაც ხელის ურმებით მომავალმა პიონერებმა მოაღწიეს, ქალაქში შენობა „სავსე იყო მათთვის მომზადებული საქონელით.“[5]

შენიშვნები

1. იხილეთ ჯულია ბ. ბექი, “What I Hope My Granddaughters (and Grandsons) Will Understand about Relief Society,” *Liahona,* ნოემბერი 2011, 113.
2. *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 112.
3. *Daughters in My Kingdom,* 119–20.
4. ბრიგემ იანგი, “Remarks,” *Deseret News,* ოქტომბერი 15, 1856, 252.
5. იხილეთ *Daughters in My Kingdom,* 36–37.

წმინდა წერილებიდან

ლუკა 10:38–39; 3 ნეფი 11:23–26; 27:21

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია გავიგო თუ რა სჭირდებათ ჩემ დებს?

2. როგორ გაიგებენ ჩემი დები, რომ მე ღრმად ვზრუნავ მათზე?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, April 2012.* Georgian. 10364 131